
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის ოფისში

2011 წლის 20 აპრილს გამართული საჯარო
დისკუსია თემაზე:

"საქართველოს სახალხო დამცველის
საანგარიშო მოხსენება საქართველოში
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა
დაცვის მდგომარეობის შესახებ - 2010
წელი"

ძირითადი მომხსენებლები:

გიორგი ტულუში – საქართველოს სახალხო
დამცველი

უჩა ნანუაშვილი – ადამიანის უფლებათა
ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

თამარ ჩუგოშვილი – „საქართველოს
ხალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“
თავმჯდომარე

ნინო დანელია – მედიამკვლევარი,
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა
ინსტიტუტი

მოდერატორი: გოგი გვახარია

გოგი გვახარია – მოგესალმებით. ალბათ ყველას მოგეხსენებათ დღევანდელი დისკუსიის თემის შესახებ. ვფიქრობ, გასაგები მიზეზების გამო სახალხო დამცველს უფრო მეტი დრო მივცეთ სასაუბროდ, ვიდრე სხვა მომხსენებლებს. პირველსაც სწორედ მას მოვუსმენთ.

გიორგი ტულუში – დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ სახალხო დამცველის ანგარიშის მიმართ დიდი ყურადღებისთვის. ჩემთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ თემაზე საუბარი რაც შეიძლება მეტ ადამიანთან, მაგრამ ეს არც ისე იოლი მოსახერხებელია. იგივე პარლამენტში, დისკუსიები ჩაკეტილ ფორმატში მიმდინარეობს. ალბათ მოგეხსენებათ სულ რამდენიმე კვირის წინ გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს სახალხო დამცველის 26 თავისა და 523 გვერდისგან შემდგარი 2010 წლის ანგარიში. დღეს გამიჭირდება ანგარიშზე დეტალურად საუბარი. დარწმუნებული ვარ, აქ მყოფ რამდენიმე ადამიანს ნაწილობრივ მაინც ექნება ის წაკითხული. ვიცი, რომ თამუნა ნამდვილად იცნობს მას. ის აკინძული ასლიც, რომელიც მე მაქვს, მისი გამოგზავნილია. ჩვენ ჯერ ვერ მოვახერხეთ ანგარიშის დაბეჭდვა, თუმცა ვფიქრობ, რომ მალე დავბეჭდავთ და ყველას გამოგიგზავნით დაბეჭდილ ვარიანტს.

სასჯელალსრულების ნაწილმა წელს ანგარიშის ბევრი თავი გადაფარა. ანგარიში ამ თემით იწყება არა იმიტომ, რომ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი თავი, არამედ იმიტომ რომ პრევენციის მექანიზმის თავით იწყებოდა წინა ანგარიში და აქედან გამომდინარე, არც წელს დავარდვიეთ ტრადიცია. ანგარიშში ასევე შევხვებით ისეთ თემებს, რომლებიც ყოველ წელს არის განხილული, იქნება ეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თუ საგამომიებო ორგანოების საქმიანობა. დიდი ნაწილი დაუთმეთ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობასაც. თქვენთვის ცნობილია, რომ სახალხო დამცველი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშში თავის რეკომენდაციებს. ამ ანგარიშში სხვადასხვა სტრუქტურებისადმი მიმართული 308 რეკომენდაციაა. მათგან 82 რეკომენდაცია წლის განმავლობაში ინდივიდუალურ რეჟიმში გადაეგზავნა სხვადასხვა უწყებას. თუმცა ანგარიშში არის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციებიც. დიდი ნაწილი მიმართულია საქართველოს პარლამენტისკენ. სასჯელალსრულების ნაწილი და ბავშვთა სახლების მონიტორინგი 100-ზე მეტ რეკომენდაციას მოიცავს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ანგარიშში საკმაოდ დიდი ნაწილი დაეთმო იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს. მოგეხსენებათ, წლის განმავლობაში აქტუალური იყო ე.წ. „გამოსახლება-განსახლების“ პროცესი, რომელიც ორ ეტაპად მიმდინარეობდა, ჯერ აგვისტოში, შემდეგ კი იანვარში. ანგარიშში პირველად გაჩნდა თავი კერძო სექტორის იძულებით გადაადგილებულ პირებზე. ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რა სიტუაცია იყო დევნილთა კოლექტიურ ცენტრებს გარეთ. ანგარიშში, როგორც ყოველთვის, დიდი ნაწილი დაეთმო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს. ჩვენ ვცდილობდით აგვესახა არა მარტო კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ჩვენთვის საყურადღებო გახდა საანგარიშო წლის განმავლობაში, არამედ ზოგადი ტენდენციები. ჩვენ ასევე შევხვებით მედიის საქმიანობას ამ მიმართულებით. თუმცა არის ცალკე თავი მედიაზე, რომელიც ეხება გამოხატვის თავისუფლებას და ამ უფლების რეალიზებას.

სახალხო დამცველის ანგარიშში ასევე არის თავები, რომლებიც უკავშირდება შეკრების და მანიფესტაციების თავისუფლებას. ერთ-ერთი ნაწილი ეთმობა კანონს, ვინაიდან ანგარიში მიუთითებს, რომ ამ თვალსაზრისით წელი არ ყოფილა აქტიური. კანონში რჩება სერიოზული ხარვეზები, რომელთა ნაწილი, ვფიქრობ, გარკვეულწილად გამოასწორა საკონსტიტუციო სასამართლომ გუშინ გამოცხადებული გადაწყვეტილებით. თუმცა იქ კიდევ არის რამდენიმე

საკითხი, რომელიც საკმაოდ აქტუალურია და ინდივიდუალურ რეჟიმში ვაპირებ განვაგრძო ამ საკითხზე მუშაობა.

ანგარიშში არის ორი ახალი თავი. ერთი ეხება ეკომიგრანტებს. ეს პრობლემა ძალიან აქტუალურია საქართველოში და არცთუ ისე დიდი ყურადღება ექცევა. ამ ადამიანებსაც საკმაოდ ბევრი პრობლემა აქვთ როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე ზოგადად, საყოფაცხოვრებო პირობებიდან გამომდინარე. ასევე გაჩნდა თავი სურსათის უვნებლობის შესახებ, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვას ეხება.

რაც შეეხება შრომის უფლებას, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სახალხო დამცველი ეხება შრომის უფლებას და საჯარო სამსახურს. იმიტომ რომ ხშირად მოგვართავენ ადამიანები, რომლებიც სამსახურიდან დაითხოვეს კერძო სტრუქტურებმა, ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებიდან, ამიტომ ყოველთვის ვცდილობთ განვუმარტოთ ადამიანებს, რომ სახალხო დამცველი არ ერევა კერძო შრომით ურთიერთობებში. ჩვენ შეხება გვაქვს მხოლოდ საჯარო სამსახურის შესახებ კანონთან. უნდა ითქვას, რომ კანონმდებლობით, დღესდღეობით საჯარო მოხელეს დაცვის გაცილებით მაღალი ხარისხი აქვს, ვიდრე მათ, ვის შრომით ურთიერთობებსაც დამსაქმებელთან დღევანდელი შრომითი კანონმდებლობა აწესრიგებს. არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ ჩვენი შრომითი კანონმდებლობა ძალიან შორს არის თანამედროვე სტანდარტებისგან და ბევრი რეკომენდაცია, რომელიც იქნა გაკეთებული ამ მიმართულებით, არ ყოფილა გაზიარებული.

საკუთრება, რომელიც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, არც ამ ანგარიშში დაგვიტოვებია უყურადღებოდ. მას შევეხეთ ორი კუთხით. ერთი უშუალოდ ეხება საკუთრების უფლების აღიარების კომისიების საქმიანობას, მეორე – გაჭიანურებულ გამოძიებებს, როდესაც ხანგრძლივი პერიოდით ხდება კონკრეტული საკუთრების ერთეულის, ნივთის, მოძრავი ან უძრავი ქონების დაყადაღება ან მისი ამოღება, რის შედეგადაც მის მესაკუთრეს ეზღუდება ამ ნივთით სარგებლობის უფლება. ასევე შევეხეთ კერძო მესაკუთრეებს, რომელთა კერძო საკუთრებაში უკანონოდ იმყოფებიან სხადასხვა პირები და სახელმწიფო არ დგამს ნაბიჯებს მათი საკუთრების გამოსათავისუფლებლად, რათა კანონიერ მესაკუთრეს მიეცეს უფლება ისარგებლოს მისი საკუთრებით. ეს ძალიან აქტუალური თემა იყო მთელი წლის განმავლობაში. ჩვენ უამრავმა განმცხადებელმა მოგემართა ამ კუთხით, რამაც მოგვცა საშუალება ეს თავი აგვესახა ჩვენს ანგარიშში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ბავშვისა და ქალის უფლებები, სადაც ჩვენ არ ვეხებით ინსტიტუციებში მყოფ ბავშვებს, საუბარია ზოგადად ბავშვებზე, რომლებიც იმყოფებიან სახლში, სკოლაში. ამ კუთხითაც ძალიან საინტერესო იყო ანალიზის გაკეთება. დეტალურად შევეხეთ იმ პრობლემებსაც, რომლებიც უკავშირდება საქართველოში ქალის უფლებების რეალიზებას.

ანგარიშში ბევრი ისეთი თავია, რომელზეც ბევრი შეიძლება ვისაუბროთ. ბოლოს მინდა შევეხო ერთ-ერთ დეტალს. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას ცალკე თავი დავუთმეთ. ანგარიშში ორი ნაწილია, რომელიც ეთმობა მოპყრობას თავისუფლებაშეზღუდულ პირთა მიმართ. ერთი გახლავთ ეროვნული პრევენციის მექანიზმის ნაწილი, რომელიც უშუალოდ თავისუფლების შეზღუდვის ადგილებს სწავლობს, მეორეა მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი კონკრეტული საქმეები, რომლებიც ეხება პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის და ცემის ფაქტებს. ასე რომ ამან არ უნდა დააბნოს მკითხველი. ბევრს აღარ ვისაუბრებ ანგარიშის დეტალებზე, ალბათ დაისმება შეკითხვები, მზად ვარ მათთვისაც და დისკუსიისთვისაც. გმადლობთ.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა, ბატონო გიორგი. ახლა სიტყვას გადავცემ დანარჩენ მომსახურებლებს. პირველ რიგში ქალბატონ თამარ მოვუსძინოთ.

თამარ ჩუგოშვილი – გმადლობთ. შევეცდები ვისაუბრო სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე ჩადებული ინფორმაციის შესახებ. მოხარულები ვართ, რომ წელს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში დაახლოებით ათამდე საკითხთან დაკავშირებით არის მოშველიებული ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ წლის განმავლობაში გამოყოფილი ყველაზე პრობლემური საკითხები მოხვდა ამ ანგარიშში. საინტერესოა ის, რომ მასში მოხვდა ჩვენს მიერ არა მარტო 2010 წელს გავრცელებული ინფორმაცია, არამედ ის თემებიც, რომლებზეც ვსაუბრობდით 2009 წლის განმავლობაში.

თემატურად გამოვყოფ საკითხებს. პირველ რიგში ვისაუბრებ მართლმსაჯულების საკითხებზე და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ თემებზე. ანგარიშში ნახსენებია ჩვენს მიერ 2010 წელს მომზადებული ანგარიში, „მართლმსაჯულება საქართველოში“ და გამოყოფილია რამდენიმე კონკრეტული თემა. ეს პირველ რიგში ეხება ე.წ. „მოსმენების“ თემას, ანუ სასამართლოს თავმჯდომარეების მხრიდან რიგითი მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევის და მითითებების მიცემის პრობლემას, ასევე მოსამართლეების დისციპლინარულ პასუხისმგებლობასთან და ზოგ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც. აქ არის პრემიების თემაც, რაც რიგ შემთხვევებში მოსამართლეებისათვის ანაზღაურების სუბიექტური შესაძლებლობების არსებობას გულისხმობს. ეს არის ძირითადად ის თემები, რომლებიც მართლმსაჯულების თემატიკას უკავშირდება და რომელთა შემთხვევაშიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დასახელებული როგორც ინფორმაციის წყარო.

ჩვენ ასევე ვართ მოხსენიებულები შეკრებისა და მანიფესტაციების თემასთან დაკავშირებით. ორი კონკრეტული შემთხვევაა ანგარიშში სხვადასხვა ადგილას განხილული. პირველი ბატონ ირაკლი კაკაბაძის დაკავებას ეხება, როდესაც ის სხვა პირებთან ერთად ერთ-ერთი ქუჩისთვის სახელის გადარქმევას მოითხოვდა. მაშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავდა ამ პიროვნების ინტერესებს. მეორე შემთხვევაა 2009 წელს პარლამენტის წინ გამართული აქციის დროს სამი ადამიანის დაკავება. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას პოლიციის მხრიდან.

ანგარიშში ასევე აისახა წინასაარჩევნო პერიოდში მესტიაში განვითარებული მოვლენები, ასევე ქალბატონ ნელი ნავერიანის საქმე. ეს ქალბატონი მაშინ ხმამაღლა საუბრობდა იმ ზეწოლაზე, რასაც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები თუ თანამდებობის პირები ახორციელებდნენ ოპოზიციური პარტიების ადგილობრივ კანდიდატებზე. რაღაც ხნის შემდეგ ქალბატონი ნელი დააკავეს. ჩვენ დეტალურად გვაქვს შესწავლილი ეს საქმე და მომზადებული გვაქვს მისი სამართლებრივი ანალიზი. მიგვაჩნია, რომ მასში არის პროცედურული ხარვეზები.

ანგარიშში გამახვილებულია ყურადღება ე.წ. საგადასახადო ამნისტიაცზეც, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან მაუწყებლების მიმართ იქნა შემუშავებული. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ვამბობდით, რომ იყო გამჭვირვალების ნაკლებობა. ამნისტიის ფარგლებში ჯამში დაახლოებით 35 მილიონი თანხა ეპატია მაუწყებლებს. მაგრამ ამ თანხიდან ძალიან მცირე წილი მოდიოდა რეგიონულ მაუწყებლებზე. თუმცა თავიდან ეს ინიციატივა სწორედ

რეგიონული მაუწყებლების მხარდაჭერის მიზნით წარმოიშვა. როგორც ვიცით, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გაწეული შეღავათი 10 მილიონს აღწევდა, დანარჩენი თანხა კი ძირითადად ტელეკომპანია „რუსთავი2-ზე“ და „იმედზე“ მოდიოდა. ჩვენ მოვითხოვდით ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავდა ოსი ეროვნების რამდენიმე ადამიანს, რომელიც საქართველოს მხარემ დააკავა. ომის საკითხებზე ჩვენმა ორგანიზაციამ გააგზავნა სარჩელები სტრასბურგში. ტელეკომპანია „რუსთავი2-ის“ მხრიდან ამ თემაზე მომზადებულ სიუჟეტში მცდარი ფაქტები იყო მოყვანილი. ანგარიშში ეს შემთხვევაც არის ასახული.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოშველიებულია როგორც ინფორმაციის წყარო ოჯახური ძალადობის თემასთან დაკავშირებითაც. ჩვენ ვამბობდით, რომ შემაკავებელი ორდერის გამოწერა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის თვალსაზრისით, პრაქტიკაში არ ინერგება. პოლიციელები ხშირად თავს იკავებენ შემაკავებელი ორდერის გამოწერისგან. ანგარიშში ასევე არის საუბარი საკუთრების უფლებაზე და ჩვენ ასევე ვართ მოხსენიებული, როგორც ინფორმაციის წყარო.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩამოთვლილ თემებზე სახელმწიფოს მხრიდან იქნება რეაგირება. ალბათ გექნებათ შეკითხვები, სიამოვნებით ვუპასუხებ მათ.

გოგი გვახარია – თუ ფიქრობთ, რომ არის თემა, რომელიც უნდა შესულიყო ანგარიშში, მაგრამ რეალურად არ ასახულა.

თამარ ჩუგოშვილი – ჩემი აზრით, სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ყველა მნიშვნელოვანი საკითხია ასახული.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. ახლა როგორც ჩანს თავის გამოსვლაში უმცირესობების პრობლემებზე ისაუბრებს უნა ნანუაშვილი, ხოლო მედიის საკითხებზე – ნინო დანელია.

ურია ნანუაშვილი – მე არ ვაპირებ მხოლოდ უმცირესობების თემებზე საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ წინა გამომსვლელებმა საკმაოდ დეტალურად ისაუბრეს, მეც მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. ეს ანგარიში არის ერთწლიანი და ხანმოკლე ანგარიშებისგან განსხვავებით, ტენდენციებზე საუბრის საშუალებას იძლევა. ექვსთვიანი ანგარიშის დროს ძალიან ძნელი იყო საუბარი ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებზე.

გამოვყოფ კიდევ რამდენიმე მომენტს. ძალიან მნიშვნელოვანია ის თანხვედრა, რომელიც არის ამ ანგარიშსა და უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში გამოქვეყნებულ როგორც ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ სხვა ანგარიშებს შორის. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ანგარიში საკმაოდ პროფესიონალურად არის მომზადებული. ქართველი უფლებადამცველები აღიარებენ, რომ არის მნიშვნელოვანი დარღვევები მთელი რიგი მიმართულებით.

არის საკითხები, რომელზეც შედარებით ნაკლებად არის საუბარი ანგარიშში, თუმცა, ვფიქრობ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს იმისათვის, რომ მათ ანგარიშში აისახოს თუნდაც კანონმდებლობის ანალიზი, უფრო მეტი თავისუფლება აქვთ. მაგალითად ცოტა ხნის

წინ ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში საუბარია ბოლო ხანებში მიღებულ იმ ახალ კანონებზე, რომლებიც რიგ შემთხვევაში ზღუდავენ ადამიანის უფლებებს. გასულ წელს პირველად საქართველოს ისტორიაში, შეიზღუდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამის შესახებ ცვლილება ადმინისტრაციულ კოდექსში გასულ წელს განხორციელდა. ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვის ტენდენცია 2009 წლიდან დაიწყო. ვგულისხმობ შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების შეზღუდვას, ამას მოგვიანებით დაემატა პოლიციისთვის დამატებითი უფლებამოსილების გაზრდა. 2010 წლის ივლისში ასევე განხორციელდა ცვლილებები რეზერვის შესახებ კანონში, სადაც ძალიან ბევრი საკამათო მუხლია. გაიზარდა დღეების რაოდენობა 50 წლამდე ასაკის მამაკაცისთვის.

პარლამენტი ასევე მსჯელობს პირადი მონაცემების დაცვის შესახებ კანონზე, რომელიც ძალიან ბევრ დისკრიმინაციულ მომენტს შეიცავს. ამ კანონის საფუძველზე იქმნება პირადი მონაცემების დაცვის ინსპექტორი, რომელსაც ყველა, როგორც საჯარო, ისე კერძო ორგანიზაციამ უნდა გაუზიაროს თავისი თანამშრომლების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ისეთი საკითხებიც კი, როგორიც არის მათი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებები, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ. როგორ იქნება შემდეგში გამოყენებული ეს ინფორმაცია, ამის შესახებ არანაირი გარანტია არ გაგვაჩნია. გასული წლის სექტემბერში შევიდა ასევე კანონში ცვლილება ინტერნეტის კონტროლის შესახებ. ვგულისხმობ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შესახებ კანონს, რომლის მიხედვითაც ინტერნეტის კონტროლი უკვე შესაძლებელი და დაკანონებულია. ეს იყო ჩამონათვალი იმ ცვლილებებისა, რომლებიც გასულ წელს განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობაში. მათი შედეგები თანდათან უფრო საგრძნობი იქნება. მაგალითად მიმდინარე წელს უკვე სამი დემონსტრაცია იქნა აღკვეთილი და მისი მონაწილეები კი, დაპატიმრებულნი.

ანგარიშში საუბარია ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. აღნიშნულია, რომ კვლავ რჩება პრობლემები ამ სფეროში. ვხვდებით ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია ეკომიგრანტების თემაც, რომელზეც ბატონმა გიორგიმ უკვე ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ათასობით ეკომიგრანტია, ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო ვაკუუმი. საერთაშორისო კანონმდებლობით მათ იგივე სტატუსი ენიჭებათ, რაც დევნილებს. მათ დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოთ ეს სტატუსი.

ანგარიშში ასევე არის საუბარი ციხეებზე, საპატიმრო ადგილებზე, სასამართლო სისტემაზე. მხოლოდ ერთი ციფრი მინდა მოვიხსნო, გასულ წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ 26 ათას 172 საქმე განიხილა. მათგან გამამართლებელი გადაწყვეტილება მხოლოდ 3 შემთხვევაში იქნა მიღებული, ნაწილობრივ გამამართლებელი – 9 შემთხვევაში. ჩვენ ამ თემაზე უცხოელ ექსპერტებთან ერთად მოკვლევა ჩავატარეთ. მსგავსი სტატისტიკა აქვს მხოლოდ ერთ ქვეყანას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. სამაგიეროდ ძალიან მაღალია საპროცესო გარიგებების რიცხვი. მათი ხვედრითი წილი თბილისის საქალაქო სასამართლოში 84%-ზე მეტია. საზოგადოებას არ მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დგას ამ საქმეების უკან. მეორე საკითხია ის, რომ ეს სისტემა შემოსავლის წყარო გახდა. ამიტომ უფრო მეტი დისკუსიაა საჭირო ამ თემაზე.

მინდა შევეხო პატიმრების თემას. გავრცელებულია აზრი, რომ საქართველოში 23 ათასი პატიმარია. იგივეს მოწმობს სტატისტიკა. გასული წლის დეკემბრის ბოლოს მონაცემებით პატიმრების რიცხვი 23 684-ს აღწევს. მაგრამ თუ შევაჯამებთ მსჯავრდებულ პირთა საერთო

რაოდენობას, იქნება ის თავისუფლების აღკვეთით თუ პირობით მსჯავრდებული და არასაპატიმრო სასჯელს შეფარდებული, იმავე დროისთვის მათი რაოდენობა აღწევდა 53 170 ადამიანს. ეს ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ პრობლემა ძალიან ბევრია. ვიტყვი, რომ ეს ანგარიში არის სარკე, რომელშიც პირველ რიგში ხელისუფლებამ უნდა ჩაიხედოს და დაინახოს თავისი თავი და არ შეეცადოს სარკის დამტვრევას, თუკი რაიმე ფაქტი არ მოეწონება. სამწუხაროდ, დღემდე ვერ დავინახე ხელისუფლების რეაქცია ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე, თუნდაც ტერმინზე „სიკვდილის ექსპორტი“, რომელიც გაჩნდა სახალხო დამცველის ანგარიშში. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედიამ, ალბათ არის დრო, რომ ეს ანგარიში ვაქციოთ საბაზისო დოკუმენტად, რომლის საფუძველზეც უნდა დაიწყოს დიალოგი ხელისუფლებასთან იმ პრობლემებზე სასაუბროდ, რომლებიც მასშია ნახსენები. დიდი მადლობა.

გოგი გვახარია – დიდი მადლობა. ახლა უკვე ნინო დანელიას მოვუსმინოთ. თუ აღევნებდით თვალს, როგორ გაშუქდა მედიაში სახალხო დამცველის ანგარიში.

ნინო დანელია – ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო მადლობით. იმიტომ რომ სახალხო დამცველის აპარატი არა მარტო საანგარიშო პერიოდში, არამედ მთელი წლის განმავლობაში არის ადამიანის უფლებების დაცვის ავანგარდში. არ ყოფილა არც ერთი კრიტიკული შემთხვევა, რომ მას არ მოჰყოლოდა ადეკვატური რეაგირება სახალხო დამცველისგან. ჩემი აზრით, ეს ჩვენთვის, მთელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ძალიან რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება. სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება ისე გაშუქდა, როგორც შექდება ხოლმე რთული საკითხები, რომლებსაც სჭირდება მეტი ანალიზი, მეტი დაფიქრება და დრო. ანუ, ჩემი აზრით, გაშუქდა საკმაოდ ზედაპირულად. რაც მე ვნახე საინფორმაციო გამოშვებებში, ჩამოთვლილი იყო ყველაზე კრიტიკული ნაწილები, ძირითადად საუბარი იყო სასჯელალსრულების დეპარტამენტში არსებულ მდგომარეობაზე, ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭა გამონათვის და სიტყვის თავისუფლებას. ამასაც თავისი მიზეზი აქვს, ის საშუალებები, რომლებიც ამას იტყოდნენ, ცოტათი კონტექსტიდან ამოვარდნილად იგრძნობდნენ თავს.

არ ვაპირებ დეტალურად განვიხილო სახალხო დამცველის ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც ეხება მედიას. შევეცდები სისტემურად შევხედო იმ საკითხებს, რომლებსაც ბატონი გიორგი შეეხო თავის მოხსენებაში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოხსენებაში შევიდა საქართველოს რეალობის ის ნაწილი, როდესაც პოლიციის ან დაცვის სამსახურის თანამშრომლები, ადამიანები, რომელთა უშუალო მოვალეობასაც წარმოადგენს ადამიანების დაცვა, ხშირად არა მხოლოდ არღვევენ ადამიანის უფლებებს, არამედ, ხშირად მათი ჩაურევლობის და გულგრილობის გამო ირღვევა ადამიანის უფლებები. ასე მოხდა ბუშის ქუჩის და ტელეკომპანია „კავკასიის“ შემთხვევაში. თუმცა, ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბოლოს მაინც ჩაერია პოლიცია. აღსანიშნავია, რომ ბუშის ქუჩის საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაითვალისწინა ისეთი აშკარა მტკიცებულება, როგორც არის ვიდეოჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს, რომ აქციის მონაწილეებს არც სავალი ნაწილი ჰქონდათ გადაკეტილი და არც პოლიციელებისთვის გაუწევიათ წინააღმდეგობა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველმა ცალსახად დაუჭირა მხარი ქართული სამოქალაქო საზოგადოების საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივას. პირველი ოფიციალური უწყება, სადაც მოხდა ამ ანგარიშის და ცვლილებების პრეზენტაცია, იყო

სწორედ სახალხო დამცველის აპარატი. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატი არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, ჩემი აზრით, პროცესებში აქტიურად ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები ყველაზე მეტად სწორედ ამ უწყებას მოიაზრებენ ერთ-ერთ უპირველეს მოკავშირედ.

მნიშვნელოვანი აქცენტი იყო გაკეთებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, რაც ძალიან გართულებულია ბოლო პერიოდში. 2008 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებით გაჩნდა დამატებითი რგოლი მოქალაქესა და საჯარო ინფორმაციას შორის. თუ მოქალაქეს უარს ეტყვიან საჯარო ინფორმაციაზე, მას აღარ შეუძლია ამის გამო სასამართლოს მიმართოს. მან უნდა მიმართოს იმავე უწყების ზემდგომ პირს, სადაც მას საჯარო ინფორმაციაზე უარი უთხრეს, რაც თავისთავად, ცოტა აბსურდული მეჩვენება.

არის ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემა, რომელთა მხოლოდ ანგარიშში მითითება საკმარისი არ არის. ისინი მუდმივ ყურადღებას და დისკუსიებს საჭიროებს. ეს არის რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების თემა და ზოგადად, ადამიანის უფლებების დარღვევა მისი რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გამო. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში. ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით ვითარება დღეს უფრო დამძიმებულია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. ვგულისხმობ იმას, რომ ტელევიზია ამ თემას ხშირად არ ამუქებს, ან დისკრიმინაციულად ამუქებს. ბეჭდურ მედიაში ვითარება ოდნავ უკეთესია მხოლოდ იმის გამო, რომ არის რამდენიმე დამოუკიდებელი მედია-საშუალება, მათ შორის ჟურნალი „ლიბერალი“, გაზეთი „ბათუმელები“, ასევე ჟურნალი „ტაბულა“, რომელიც ადამიანებს რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გამო ანათემას არ გადასცემს. თუმცა აქ სხვა ტიპის პრობლემაა, მაგალითად პოლიტიკური კუთვნილების. ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური კუთხით ადამიანების გარიყვა და პოზიტიურად არის საუბარი ბატონ გიორგის მოხსენებაში იმაზე, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ვითარება შეცვალა და ადრე თუ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებისათვის კვირაში ერთხელ იყო გადაცემები, თუ ადამიანს საკუთარ ენაზე სურდა ახალი ამბების მოსმენა, ამის შესაძლებლობა მას მხოლოდ კვირაში ერთხელ ეძლეოდა, ახლა საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს მომზადებული გადაცემები გადასცეს რეგიონულ ტელევიზიებს, ამისთვის ყიდულობს კიდევ ეთერს და არის ყოვლდღიური. მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა პრობლემა, ამის შესახებ გუშინ გავიგე ერთ-ერთი ანგარიშიდან. ამ თემაზე ევროპული ადამიანის უფლებათა ცენტრი მუშაობს, აღმოჩნდა, რომ ამ რეგიონებში მცხოვრებმა ძალიან ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ ასეთი გადაცემები გადის ეთერში. თითქოს ყველა კმაყოფილი უნდა იყოს ვითარების გაუმჯობესებით, მაგრამ ადამიანებმა, ვისთვისაც ეს გადაცემები მზადდება, მის შესახებ არაფერი იციან. ეს ფაქტია უცნობია მათ შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვისაც, რომლებიც უშუალოდ უნდა იყვნენ ჩართულები ამ პროცესში. აქ უკვე საზოგადოების არაინფორმირებულობის პრობლემა გვაქვს.

ძალიან კარგია, რომ ბოლო წლებში ერთმანეთს ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიში. ეს ამ ანგარიშებში მოყვანილი ინფორმაციის ობიექტურობაზე მიუთითებს. თუმცა ანგარიშებთან ერთად უფრო მეტი აქტიურობა და ჩართულობა საჭირო იმისთვის, რომ ანგარიშებს შესაბამისი უწყებებიდან რეაგირება მოჰყვეს. აქ პირველ რიგში იგულისხმება მედია, იმიტომ რომ მან უნდა გააშუქოს ეს საკითხები. სახალხო დამცველის ანგარიშის ყოველი თავი შეიძლება გახდეს ახალი ამბების ან თოქ-შოუების თემა. ძალიან ბევრი ადამიანი

არ წაიკითხავს მოხსენებას თავიდან ბოლომდე, ამიტომ მას ინფორმაცია ანგარიშის შესახებ, ასევე ის, რომ ამ საკითხებს მათ ცხოვრებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, სწორედ მედიამ უნდა მიაწოდოს.

ასევე უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი ადამიანი აძლევს თავს უფლებას მედიაში ქსენოფობიური და ჰომოფობიური განცხადებები გააკეთოს. მე არ ვამბობ, რომ ამ კუთხით ეკლესია გააქტიურდა, მაგრამ ყველა დანარჩენი ორგანიზაცია ცდილობს მისი შეფასება არ განსხვავდებოდეს ეკლესიის შეფასებებისგან, ცდილობს არ დაუპირისპირდეს ეკლესიას, რომ არ დაკარგოს ამომრჩეველთა ხმები. იმ ადამიანებმაც, რომლებიც პატივსაცემები იყვნენ თავიანთი სამოქალაქო პოზიციის გამო, დაიწყეს ქსენოფობიური განცხადებების კეთება და ეს ჩემი აზრით, არ უნდა დარჩეს ჩვენი ყურადღების მიღმა. ეს შეიძლება არ იყოს სახალხო დამცველის აპარატის თემა, ეს მთელი საზოგადოების ჩართულობას მოითხოვს. გმადლობთ.

გიორგი ტულუში – არაერთი შეფასება მოვისმინე ანგარიშთან დაკავშირებით. თამუნამ ძალიან ბევრი ისაუბრა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიურ ანგარიშზე, რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში გამოქვეყნდა, როდესაც გამოქვეყნდა სახალხო დამცველის ანგარიში. ძალიან არ მინდოდა ასე მომხდარიყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ერთმანეთი არ გადაეფარათ. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. მე კანონით მაქვს შეზღუდვა, რომ 31 მარტს არ უნდა გადავაშორო პარლამენტისთვის ანგარიშის გადაგზავნა, აქედან გამომდინარე, წინასწარ ვიცოდი თარიღი, როდის გახდებოდა საჯარო სახალხო დამცველის ანგარიში საჯარო. ამ ანგარიშებში ბევრი თემა საერთოა, თუმცა სტრუქტურულად და შინაარსობრივად სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში მკვეთრად განსხვავებულია. ის ნაკლებად შეიცავს შეფასებებს. მისი ძირითადი ნაწილი მაინც აღწერილობითი ხასიათისაა. რა თქმა უნდა, იქ არა ერთი ისეთი ფაქტია აღწერილი, რომელიც მოყვანილია არა მარტო სახალხო დამცველის ანგარიშში, ის უშუალოდ ეყრდნობა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და კიდევ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შესწავლილ საქმეებს. მასში ასევე დეტალურად არის საუბარი სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობაზეც, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო ფაქტია.

ნინომ თქვა, რომ ყველა არ წაიკითხავს 500 გვერდიან ანგარიშს, მართლაც მძიმეა ამხელა ანგარიშის თავიდან ბოლომდე წაკითხვა, თუმცა ვფიქრობთ, სამომავლოდ ანგარიში უფრო პატარა გახდეს და თეზისების და რეკომენდაციების დონეზე შემცირდეს. ბევრი ომბუდსმენი აკეთებს დღეს ამას. მაგრამ ჯერ ეს შესაძლებელი არ იქნება, მხოლოდ ზოგად ტენდენციებზე საუბარი გაჭირდება. იმ აზრისგანაც შორს ვარ, რომ ჩემს ანგარიშში ყველაფერი მოხვდა. შეიძლება იყოს უფლებათა დარღვევის ისეთი ფაქტებიც, რომლებიც არ შეგვისწავლია, ან ჩვენთვის საყურადღებო ვერ გახდა გარკვეული მიზეზების გამო. ვერ ვიტყვი, რომ თუნდაც სასჯელალსრულების დაწესებულებებში ყველა უფლებადარღვეული პატიმრის საქმე მაქვს შესწავლილი. რა თქმა უნდა, რჩება ფაქტები, რომლებიც ჩვენამდე არ მოდის, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ადამიანის უფლებების დაცვა არ არის იზოლირებული პროცესი.

სახალხო დამცველის ინსტიტუტის არსებობა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და რაც უფრო კარგად იმუშავებს, მით მეტი საშუალება იქნება ადამიანის უფლებების დასაცავად. მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა არა მარტო ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, არამედ მთელ საზოგადოებასთან, მედიასთან. ჩვენი საქმიანობის ეფექტურობა

დიდწილად არის დამოკიდებული მედიის საქმიანობაზე. სახალხო დამცველის აპარატს მედიასთან აბსოლუტურად გახსნილი ურთიერთობა აქვს. ხშირად თვითონ ვცდილობთ მედიის დაინტერესებას, ხშირად მედია საშუალებები თავად აქტიურად ინტერესდებიან სახალხო დამცველის საქმიანობით. ამ წელიწადნახევარში მეც დავინახე, როგორი უნდა იყოს მიდგომა სხვადასხვა მედია საშუალებასთან. გვაწუხებენ ისეთ თემებზეც, რომლებიც საერთოდ არ გვეხება, თუმცა ხშირად აინტერესებთ ჩვენი ყოველდღიური მუშაობა. გარდა იმისა, რომ საბოლოო ჯამში ანგარიშში მედიას ვაკრიტიკებთ, მაინც მინდა ვთქვა, რომ ეს ანგარიში ხარისხის თვალსაზრისით გაცილებით კარგად გაშუქდა, ვიდრე 2009 წლის მეორე ანგარიში, რომელიც არანაკლებ მწვავე და საინტერესო იყო. მის მიმართ ესოდენ დიდი ყურადღება არ ყოფილა, რაც ჩემთვის გასაკვირია. შეიძლება იქ „სიკვდილის ექსპორტი“ არ ეწერა, მაგრამ ორი სიტყვის გამო ანგარიშს აქტუალობას ვერც დაუკარგავ და ვერც შესძენ.

უჩამ კანონმდებლობაზე ისაუბრა. ანგარიშში არა ერთი რეკომენდაციაა კანონების გადახედვის, შეცვლის, მიღების მიმართულებით. საკონსტიტუციო სასამართლოსთან ურთიერთობა რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ძალიან ხშირად, როდესაც პარლამენტი არ ითვალისწინებს ჩვენს ხედვას რომელიმე საკანონმდებლო ნორმასთან დაკავშირებით, გვიხდება საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვა და ამ მექანიზმის გამოყენება. რამდენიმე ათეულ ცვლილებაზე მაქვს მიწერილი პარლამენტის თავმჯდომარისთვის ჩემი მოსაზრება. ეს ეხება ბოლო დროს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, იქნება ეს გრძელვადიანი პაემნების საკითხი სასჯელალსრულების დაწესებულებებში თუ სხვა. მაგრამ ხშირად არ იზიარებენ ჩვენს რეკომენდაციებს და ამის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართავთ, რაც ძალიან დიდი დროის და რესურსების ხარჯვასთან არის დაკავშირებული.

დიდი მადლობა მომხსენებლებს, რომ გაეცნენ ანგარიშს და პოზიტიური შეფასებებისთვისაც, თუმცა შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ანგარიში ისეთია, რომ ყველას შეიძლება მოეწონოს. მაგრამ რაც უფრო მეტი პოზიტიური შეფასება გამოითქმება მის მიმართ, ეს ჩვენ აგვიმალლებს მოტივაციას საიმისოდ, რომ მომავალი წლის ბოლოსთვის კიდევ უფრო უკეთესი ანგარიში მოვაშადლოთ. 2011 წლის ანგარიშზე მუშაობა უკვე დაწყებულია, იმიტომ რომ ეს მუდმივი პროცესია. ჩვენ ანგარიშს წლის ბოლოს არ ვწერთ. წლის დასაწყისშივე ხდება გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა, თუმცა არავინ იცის, რა გამოჩნდება წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, მონიტორინგი დარჩება ერთ-ერთ პრიორიტეტად, ასევე იძულებით გადაადგილებული პირების თემა, მაგრამ რამდენიმე ახალი მიმართულებაც გვექნება. გმადლობთ.

გოგი გვანარია – ბატონო გიორგი, რა ძირითადი პრეტენზიები გამოითქვა ანგარიშის მიმართ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან.

გიორგი ტულუში – ვერ გეტყვით, რომ პირადად მაქვს მოსმენილი ყველა კომენტარი, თუმცა კი მედია მიმოხილვას ყოველდღე ვეცნობი. რაც შეეხება გამოხმაურებას, ძალიან საინტერესო ტენდენცია იყო ის, რომ ანგარიშის ატვირთვა ჩვენს ვებგვერდზე ტექნიკური პრობლემის გამო დღის ბოლომდე ძალიან გაგვიჭირდა და მანამდე თითქმის ყველა სახელწმიფო უწყების წარმომადგენელმა დარეკა ჩვენთან, ყველა კითხულობდა, რატომ არ იყო ატვირთული ანგარიში. აღარაფერს ვამბობ ჟურნალისტების ზარებზე. თავისთავად ცხადია, ინტერესი რომ არის, ეს კარგია.

შეფასებები არაერთგვაროვანი იყო. სასჯელალსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვითომ გვიპასუხა, მაგრამ იმდენი ტყუილ-მართალი იყო ნათქვამი, ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, ეს კომენტარი უპასუხოდ დაგვეტოვებინა თუ მაინც გვეპასუხა. თუმცა ალბათ სწორი არ იქნებოდა, პასუხი არ გაგვეცა და შემოვიფარგლეთ მარტივი პასუხით, რომ ნათქვამი არ შეესაბამებოდა სიმართლეს. სახალხო დამცველი ანგარიშის შედეგისას აბსოლუტურად თავისუფალია, ყველას შეუძლია იქ მოყვანილი ფაქტების გადამოწმება. კრიტიკა ანგარიშის მიმართ, ზოგჯერ სამართლიანი, ზოგჯერ უსამართლო, ოპოზიციის მხრიდანაც მომისმენია. ისინი ძირითადად კითხულობენ რელიგიის თავისუფლებისა და უმცირესობების თავებს. როგორც წესი, ეს თავები არ მოსწონთ ხოლმე. ამასწინათ უკვე მისაყვედურა პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა, რომ ანგარიშში არ მოხვდა ერთ-ერთი კონკრეტული ფაქტი, რომელიც უნდა ითქვას, რომ საერთოდ არ ყოფილა სახალხო დამცველის შესასწავლი ფაქტი. ისიც რელიგიის საკითხს ეხებოდა. ითქვა ისიც, რომ ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ არატოლერანტულ გარემოს, უმცირესობების შევიწროების თემას და არ ვიცავთ უმრავლესობის ინტერესებს.

მიდგომა არაერთგვაროვანია, თუმცა ანგარიშთან მიდგომის თვალსაზრისით კულტურაც შეიცვალა. ჩვენ ძალიან შორს ვართ იმისგან, რაც ხდება ცივილიზებულ განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც პარლამენტი ელოდება სახალხო დამცველის ანგარიშს იმისთვის, რომ იგი გამოიყენოს როგორც ერთ-ერთი ბერკეტი აღმასრულებელი ხელისუფლების გასაკონტროლებლად და მიაღწიოს მისი მხრიდან უფლებათა დაცვის ხარისხის ამაღლებას და გაუმჯობესებას. მე მინდა მეტი პარტნიორობა და ვინახო პარლამენტის მხრიდან, მაგრამ სამწუხაროდ, ამას ვერ ვხედავ. ეს ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსაც. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ამ კომიტეტში კანონების შემდეგ შეიძლება მოხვდეს, სწორედ სახალხო დამცველის ანგარიში უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, იგი ანგარიშს კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა აყენებდეს. პირიქით, ისინი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მაქსიმალურად უნდა მოითხოვდნენ სახალხო დამცველის ანგარიშში არსებული რეკომენდაციების შესრულებას. არ გამოვირცხავ, რომ რომელიმე რეკომენდაცია არ გაიზიარონ, თუმცა ყველა ეს რეკომენდაცია კონკრეტულ შესწავლილ საქმეებს ეფუძნება. ასე რომ ამ კუთხითაც კულტურა დიდად არის დასახვეწი. მე პირიქით, იმედი უნდა მქონდეს, რომ პარლამენტისთვის ჩემი დოკუმენტი სახელმძღვანელო იქნება.

მხოლოდ იმის თქმა, რომ სახალხო დამცველის ანგარიშის შემოტანის შემდეგ მინისტრი მოიხსნას, სიტუაციას არ შეცვლის. რა თქმა უნდა, ვერავის დავუშლი თავისი მიზნებისთვის გამოიყენონ სახალხო დამცველის ანგარიში. რაც უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ამ ამგარიშს, ეს ჩემთვის მით უფრო მისასალმებელი იქნება. მაღლობელი ვარ ცალკეული პარლამენტარების, რომლებიც ბიუროს სხდომაზე, სხდომათა დარბაზში თუ მედიასთან ციტირებენ სახალხო დამცველის ანგარიშს. ეს არის ერთ-ერთი მამოძრავებელი ელემენტი იმისთვის, რომ ანგარიში არავის დაავიწყდეს. იმიტომ რომ ის არ არის სამი დღისთვის დაწერილი. ეს არის მთელი წლის ანგარიში, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის ამსახველი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი. ბევრ ანგარიშს გავცნობივარ, როგორც ადგილობრივს, ისე საერთაშორისოს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული ადგილი უკავია ომბუდსმენის მოხსენებას, რაც სავსებით ლოგიკურია, იმიტომ რომ ეს დაწესებულებაც ამისთვის არის შექმნილი. ძალიან

მსურს, რომ იმ სამი წლის განმავლობაში, რაც დამრჩა ამ თანამდებობაზე გასატარებელი, მიდგომა ანგარიშის მიმართ უკეთესობისკენ შეიცვლება. პოლიტიკოსები ალბათ მომავალში მეტ პასუხისმგებლობას გაიზიარებენ ომბუდსმენის საქმიანობასთან დაკავშირებით. სამწუხაროდ არიან ისეთებიც, ვისაც დღემდე ვერ შევაგნებინეთ, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი არის დამოუკიდებელი და მოქმედებს კონსტიტუციაზე და კანონზე დაყრდნობით და არა ცალკეული ადამიანის შეხედულებებიდან გამომდინარე. კარგი იქნებოდა, თუ ზოგიერთი პარლამენტარი წაიკითხავდა ორგანულ კანონს სახალხო დამცველის შესახებ. იქ ნათლად არის ჩამოყალიბებული, თუ რისთვის არის შექმნილი ეს ინსტიტუტი და რას ემსახურება იგი. მე მოვისმინე აზრი, რომ მხოლოდ ნეგატიურზე ვარ ორიენტირებული და ვერ ვხედავ შედეგილ კედლებს და გარემონტებულ შენობებს. მინდა გითხრათ, რომ ყველაფერს ვხედავთ და რაც ასასახი იყო ანგარიშში, ყველაფერი მოხვდა შიგნით, მათ შორის პოზიტიური ტენდენციებიც. ჩემი ბრალი არ არის, რომ 523 გვერდზე მიწევს კრიტიკა იქიდან გამომდინარე, რომ ვხედავ პრობლემებს.

გოგი გვახარია – ძალიან დიდი მადლობა. ახლა ალბათ უკვე გავხსნით დისკუსიას.

თამარ ჩუგოშვილი – როგორც ჩემთვის არის ცნობილი, პარლამენტმა დრო აიღო იმისთვის, რომ შეისწავლოს ეს ანგარიში. იქნებ თქვენ უკეთ იცოდეთ, თუ რისთვის იყენებს იგი რეალურად ამ დროს. დამატებითი მტკიცებულებების მოძიებით ხომ არ არიან დაკავებული?

გიორგი ტულუში – სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არა მაქვს.

პაატა გაჩეჩილაძე, „21-ე საუკუნე“ – დაახლოებით იგივე კითხვა მქონდა. მაინტერესებს, როგორია ბოლო ინფორმაცია იმის შესახებ, როდის აპირებს ჩვენი საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხის ადგილიდან დაძვრას.

ეს ანგარიში ძალიან აქტუალურია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტი შედგა.

გიორგი ტულუში – მოგახსენებთ იმას, თუ რა ინფორმაცია მაქვს ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ადღომის დღესასწაულის შემდეგ გაიმართება საკომიტეტო მოსმენა, ასეთი დაპირება გვაქვს კომიტეტის აპარატის უფროსისგან. სამწუხაროდ, კანონით მე არა მაქვს უფლება, რომელიმე კონკრეტულ დღეს მოვითხოვო მოსმენა. თუმცა ადრე კანონში იყო ჩანაწერი იმის შესახებ, რომ პარლამენტს წელიწადში ორჯერ წარდგუდგენდი ანგარიშს. ის არ ყოფილა დაკონკრეტებული, როდის ისმენდა პარლამენტი ჩემს მოხსენებას. კანონში ეს შეცვლილია და პლენარული სხდომის წინაშე წარსადგენად საგაზაფხულო სესიაა მითითებული. გააჩნია, როდის იხურება საგაზაფხულო სესია, პარლამენტს მოუწევს საგაზაფხულო სესიის განმავლობაში დამიძახოს სხდომაზე და არა შემდეგ საგანგებო სხდომაზე, როგორც ეს ხდებოდა ივლისის და აგვისტოს თვეში, ან ახალი წლის ან ფეხბურთის მატჩის წინ, როგორც ერთხელ მოხდა. რაც შეეხება ანგარიშის ცნობად მიღებას ან არმიღებას, ეს ჩემთვის ამოსავალი წერტილი არ არის. მირჩევნია, საერთოდ არ მიიღონ დადგენილება, თუ მას შემდეგ არ შეასრულებენ. მე მქონდა

საუბარი რამდენიმე ჩემს კოლეგასთან იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოქმედებენ იმ შემთხვევაში, როდესაც პარლამენტი არ აქტიურობს სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულების კუთხით. დანიაში, რომელიც ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ქვეყანაა, მითხრეს, რომ არ უნდა დაველოდო პარლამენტს და საკუთარ რეკომენდაციებს თავად უნდა მივხედო, იმის მიუხედავად თუ ვისთან არის ისინი გაგზავნილი. ამისთვის კი უნდა გამოვიყენო მედია და დისკუსიები. როდესაც რამდენიმე უწყებას მივუთითებ, თუ რატომ არ გაითვალისწინეს ის, რაც წელიწადნახევრის წინ ვუთხარი და მხოლოდ ახლა რატომ დაიწყეს ამა თუ იმ საკითხზე ზრუნვა, ეს სწორედ იმაზეა მიმართული, რომ რეკომენდაციების მიმართ უფრო მეტი ყურადღება იყოს. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემთვის ძალიან მძიმე იყო, როდესაც ანგარიშის წარდგენამდე ორი კვირით ადრე სასჯელალსრულების სამინისტროს ჯანდაცვის სამსახურიდან დარეკეს და გვკითხეს, სად იყო ჯანდაცვის შესახებ 2010 წლის დეკემბერში გამოქვეყნებული ჩვენი სპეციალური ანგარიში. ეს ცოტა არ იყოს წარმოუდგენელია, იმიტომ რომ ანგარიში ამ უწყებებისთვის იწერება. მე მას ვწერ იმისთვის, რომ წაიკითხონ, შეიძლება რაღაც გაიზიარონ და რაღაც არა. არა ერთხელ ვახსენე, რომ ტუბერკულოზის ეპიდემია იმის შედეგია, რომ არ გაიზიარეს რამდენიმე წლის წინანდელი რეკომენდაციები. ეს საკითხი მხოლოდ დღეს გაახსენდათ და ცდილობენ რაღაცის გაკეთებას ამ მიმართულებით. შორეულ მომავალში ეს ალბათ რაღაც შედეგს გამოიღებს, მაგრამ ადრე რომ დაეწყოს ზრუნვა, დღეს ასეთი მძიმე სურათი არ იქნებოდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ წლის განმავლობაში რეკომენდაციების ნაწილი გაზიარებულ იქნა არა ერთი სახელმწიფო უწყების მიერ. არის რამდენიმე პრობლემური უწყებაც. ანგარიშში მითითებულია რამდენიმე სამინისტრო და უწყება, სადაც მთელი წლის განმავლობაში ვაწყდებოდი პრობლემებს. ეს ეხება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს და პროკურატურას. სპეციალური თავია იმის შესახებ, თუ რატომ მოხვდნენ ეს უწყებები ამ თავში, რომლის ფაილსაც მომზადების პროცესში დავარქვით „ურჩები“.

– მე შეკითხვა არა მაქვს. ინფორმაცია მინდა მოგაწოდოთ თბილისის დასუფთავების სამსახურზე. ეს არის ერთადერთი სამსახური, სადაც არც დასვენების დღეებია, არც შვებულება, სადაც კონტრაქტზე ისე აწერინებენ ხელს, წინასწარ წაკითხვის საშუალებასაც არ აძლევენ, და ისეთ საქმესაც აკეთებინებენ, რაც მათ არ ევალებათ. გამწვანების სამსახურის საქმესაც ესენი აკეთებენ. სად მიდის გამწვანების სამსახურისთვის გამოყოფილი თანხა? გარდა ამისა, უდიერი დამოკიდებულებაა დასაქმებულებისადმი, თუმცა ამას არა აქვს სისტემური ხასიათი, ძირითადად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ. ვინც ამაზე ხმას ამოიღებს, სამსახურიდან უშვებენ. მე პირადად ქართველი გახლავართ, სამსახურიდან იქ არსებული მდგომარეობის გაპროტესტების გამო გამომიშვეს. ჯერ პროფკავშირებს მივმართე, მერე საკრებულოს. მერე დამიბარა დასუფთავების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, ტარიელ ხიზანიშვილმა და მითხრა, რომ ჩემით კმაყოფილი იყო, მაგრამ რადგან „გარეთ ვმოდრობდი“, ამის გამო მიშვებდა სამსახურიდან.

ეს ტაბუირებული თემაა. საზოგადოებამ არაფერი იცის მის შესახებ. მიიჩნევა, რომ რადგან მეუზოვეებს ეხება, არ არის პოპულარული თემა. ქალბატონ ასიას შვილი 18 დღე უფასოდ ამუშავეს, მერე სულ გაუშვეს სამსახურიდან. ამ სამსახურის თანამშრომელთა ნაწილმა გაუსაძლისი პირობები 31 აგვისტოს ვაკის პარკში გიგი უგულავას წინაშე

გააპროტესტა. 3 სექტემბერს ისინი სამსახურიდან დაითხოვეს. ვაკის პარკიდან ისინი შპს-ს ღირეპტორმა და მისმა მოადგილემ იმ ქართველების გინებით გამოყარეს, ვინც ისინი გამოაფხიზლა და ხმა ამოაღებინა. ეს აღმაშფოთებელი ფაქტია, იქნებ გახდეს დისკუსიის საგანი.

გიორგი ტულუში – ჩვენ შეხვედრა გვქონდა ამ საკითხზე. სიუჟეტიც მაქვს ნანახი თქვენი მონაწილეობით. იმ შეხვედრაზე გთხოვთ, ამ სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა, მოგეყვანათ ჩვენთან შესახვედრად. ისინი მართლაც მოვიდნენ ჩვენთან. შემდეგ პროკურატურისგან დისკრიმინაციის მუხლით გამოძიების დაწყებაც მოვითხოვეთ. ეს არის თუ არ ვცდები შპს „თბილსერვისი“. მერას ეს ფუნქცია დელეგირებული აქვს კერძო კომპანიისთვის, სადაც შრომითი ურთიერთობები ჩვეულებრივად, შრომითი კანონმდებლობით წესრიგდება. თუ არ ვცდები, შრომითი ხელშეკრულებებია გაფორმებული. ასე რომ მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველს სამართლებრივი რეაგირების საშუალება ნაკლებად აქვს, მე შემიძლია დისკრიმინაციის კუთხით გავაგრძელო მუშაობა. მანამდე ვნახოთ, რას გააკეთებს პროკურატურა. სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას და ის სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, მით უმეტეს ეთნიკური ნიშნით. დაველოდოთ პროკურატურის პასუხს. მე მივაქცევ ამ საკითხს ყურადღებას. თქვენ იცით, რომ ჩვენ არასდროს არ ვასხვავებთ ადამიანებს. პირიქით, უმცირესობების უფლებების დაცვა იყო და დარჩება ამ დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტად, რა თქმა უნდა, იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც ჩვენ გაგვაჩნია.

– 31 აგვისტოს იყო ჩვენი, მეზოვეების ზეიმი. გიგი უგულავა მოვიდა ჩვენთან. შევხულება, დასვენების დღეები, უფასო მკურნალობა დაპირებად დარჩა. ოთხია წელი, არც დასვენება ვიცით და არც შევხულება. როდესაც გავიგე, რომ ჩვენს ზეიმზე გიგი უგულავა უნდა მოსულიყო, ვთქვი, რომ მას ამ დაპირებების შესახებ შევეკითხებოდი. მაშინ მომკიდეს ხელი ხუჭუამ და დავითურმა და „ქურთოს“ ძახილით გამომიშვეს იქიდან. ვამაყოფ, რომ ქურთი ვარ. არც ერაყი ვიცი, არც ირანი, არც თურქეთი. ეს არის ჩემი სამშობლო, აქ დავიბადე და გავიზარდე, ამ ხალხსაც და ამ მიწა-წყალსაც პატივსაც ვცემ.

ყველანაირ შეურაცხყოფას გვაყენებენ. პროფკავშირებში შესვლას გვიშლიან. დიდი მადლობა პროფკავშირების უფროსს, რომ სასამართლომდე მიგვიყვანა. ახლა პროკურატურაშიც უნდა შევიდეთ და ვიჩივლოთ. საშინელ პირობებში ვართ, ლაპარაკს გვიკრძალავენ. მონები ხომ არა ვართ? 21-ე საუკუნეში მონა საქართველოში არ არსებობს. ძალიან გთხოვთ, ჩვენც გვეცით პატივი. ჩვენ ვართ საქართველოს სარკე. დილით რომ გამოდიხართ, ხომ დასუფთავებული გხვდებით ქალაქი. ეს ჩემი ერის დამსახურებაა. ძალიან გთხოვთ, მოგვხედეთ, ჩვენც ადამიანები ვართ. წელიწადნახევარია, აღარ ვმუშაობ. სახლში ორი ობოლი შვილიშვილი მყავს, არც დედა ჰყავთ, არც მამა.

თამარ ჩუგოშვილი – ჩვენთვისაც ცნობილია ეს საქმე. ჩვენი ადვოკატები ეცნობიან მასალებს და თუ სამართლებრივად რაიმეს გაკეთება იქნება შესაძლებელი, ყველაფერს გააკეთებენ. მაქსიმალურად ვცდილობთ, დაგეხმაროთ.

მერაბ ჯიყაშვილი – ძალიან კარგი იქნება, თუ სახალხო დამცველი მოინახულებს იმ დაწესებულებას, რომელიც არის დილომში. ჩვენთან ორჯერ იყვნენ მოსულები თქვენი წარმომადგენლები. მათ მივაწოდეთ ინფორმაცია იქ არსებული პირობების შესახებ. კანონის შედეგად 90 დღემდე გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობა. იქ გაცილებით მძიმე სიტუაციაა, ვიდრე ციხეებში. მართო მოპყრობას არ ვგულისხმობ, მთლიანად შენობა საშინელ მდგომარეობაშია. ბატონ გიორგის მინდა ვთხოვო პირადად მოინახულოს იქაურობა, სულ 14 საკანია.

გიორგი ტულუში – ჩვენთვის ცნობილია ეს საქმე. თქვენთან ყოფნის მეორე დღეს შინაგან საქმეთა მინისტრს მიემართეთ. ადმინისტრაციული პატიმრობა გლობალური პრობლემაა ქვეყანაში. თბილისის იზოლაციური კიდევ არ არის ისეთი ცუდი, რაიონებში არსებულ იზოლაციურებთან შედარებით.

მერაბ ჯიყაშვილი – ვიცი, რომ თქვენთვის კარგად არის ცნობილი ჩვენი საქმე. დიდი მადლობაც მინდა გადაგიხადოთ მხარდაჭერითვის, მაგრამ რადგან კანონის მიხედვით ახლა უკვე არავინ იცის, რამდენი ხანი მოუწევს ადამიანს იზოლაციურში ყოფნა, რადგან ეს პრობლემა არსებობს, კარგი იქნება, თუ ამის შესახებ საზოგადოებისთვისაც განდება ცნობილი. იქ კიდევ ბევრი პრობლემა იყო, დაწყებული კორუფციით, საკვების მოუწოდებლობით დამთავრებული. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატებთან ერთად ვცდილობთ იქ მომხდარი ფაქტების გასაჩივრებას.

გიორგი ტულუში – აბსოლუტურად გეთანხმებით. საქართველოში არსებული დროებითი მოთავსების იზოლაციურების 90% ადმინისტრაციული პატიმრობისთვის შეუსაბამოა. ერთადერთი ნორმალური იზოლაციური, რომელიც მეტ-ნაკლებად ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, არის ჩოხატაურში და ის, თუ არ ვცდები, „ნაბელავის“ დაფინანსებით გარემონტდა. იქ სასეირნო ეზოც არის, შხაპიც. არც მოდულის იზოლაციურშია ცუდი პირობები. გეთანხმებით, სისტემა აბსოლუტურად მოუმზადებელია იზოლაციურებში 72 საათზე მეტი დროით დაკავებული პირების მიღებისთვის.

ირაკლი აბსანძე, ჟურნალისტი – დღეს აქ ბევრი ისაუბრეს არატოლერანტულ გარემოზე, დისკრიმინაციის ფაქტებზე, ჰომოფობიაზე. ამ ანგარიშის შემდეგ ხომ არ შეიძლება განისაზღვროს ტენდენცია, რა ფასეულობებს ატარებს დღევანდელი საქართველოს საზოგადოება და ვართ თუ არა საერთოდ, საზოგადოება.

უჩა ნანუაშვილი – ანგარიშები, რომლებიც წელს გამოქვეყნდა, შეიძლება ერთგვარ მიჯნად ჩაითვალოს, რომლის იქითაც მართლა უნდა დავფიქრდეთ, რა ქვეყანას ვაშენებთ და რა ფასეულობებს ვაფუძნებთ. იმიტომ რომ არის მართლაც ძალიან ბევრი დამაფიქრებელი საკითხი. პირველ რიგში, ჩემი აზრით, უნდა ვისაუბროთ მათ გამომწვევ მიზეზებზე. რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ რეაგირებას დარღვევებზე, მაგრამ თუ საზოგადოებაში არ დაიწყო დისკუსია ამ თემებზე, ფასეულობებზე, იმაზე, თუ საით მივდივართ, არაფერი შეიცვლება. დარჩება ჩაკეტილი წრე და ყველანი განვაგრძობთ იმის კეთებას, რასაც აქამდე ვაკეთებდით. ის ფესვები არ გადაიჭრება, საიდანაც ეს პრობლემები წარმოიშობა.

ვახტანგ ბახტაძე, ჟურნალისტი – ბატონო გიორგი, პირველ რიგში, თქვენს მიერ პროფესიონალურ დონეზე მომზადებულ ნაშრომს მივესალმები. შეკითხვებიც მაქვს თქვენთან. სულ ახლახანს, პარლამენტში სახელმწიფო შენობებთან 20 მეტრით დაშორებით შეკრებებთან დაკავშირებით მოხდა შეთანხმება. რიგმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და მათმა ლიდერებმა პატარა გამარჯვებად ჩათვალეს ეს მოვლენა. თუმცა იყვნენ ადამიანის უფლებათა დამცველები, ასევე „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, რომლებიც თავშეკავებით შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას. მაინტერესებს თქვენი შეფასება ამასთან დაკავშირებით.

მეორე კითხვა ამერიკის დეპარტამენტის დოკუმენტს ეხება, რომელზეც ცხარე პოლემიკა გაიმართა ელექტრონულ მედიაში. იქნებ განგვიმარტოთ პროცედურები, თუ როგორ ხდება ამ ორგანიზაციისთვის არასამთავრობო სექტორის მიერ ინფორმაციის მიწოდება.

გიორგი ტულუში – რაც შეეხება კანონს „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, ჩემი შეფასებით, ეს რა თქმა უნდა წინგადადგმული ნაბიჯი იყო, ვინაიდან სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მოქმედი კანონის რამდენიმე მუხლი. არ არის საუბარი მხოლოდ 20 მეტრზე. გაუქმდა ისეთი მნიშვნელოვანი ნორმაც, როგორც იყო აქციის შეწყვეტის დაუყოვნებლივი მოთხოვნა, რაც აქციის მონაწილეს არ აძლევდა აქციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის დროს. იყო რამდენიმე მომენტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ არ დაგვიკმაყოფილა, ერთ-ერთი ეხებოდა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც კანონით ეკრძალებათ აქციაში მონაწილეობა. ვთქვი, რომ რჩება სამსჯელო საკითხები, მაგრამ კანონი უფრო მეტად მოვიდა შესაბამისობაში ევროსასამართლოს პრაქტიკასთან. თუმცა, ჩვენს კანონში, კვლავ რჩება ხარვეზები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვადასხვანაირი შეფასება მოჰყვა. ჩემთვის ყველაზე მისაღებია ფორმა, რომ სასამართლომ გარკვეული ხარვეზები აღმოფხვრა. მე გავეცანი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნასაც ამ საკითხზე და აბსოლუტურად ვიზიარებ მას.

რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, ალბათ მე არ ვარ ის კომპეტენტური პირი, რომელიც ისაუბრებს იმაზე, თუ რა მეთოდოლოგიას იყენებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი საკუთარი ანგარიშის შედგენისას. მხოლოდ ის შემიძლია ვითხრათ, რომ მათ რამდენიმე შეკითხვით მოგვმართეს და ჩვენ გავეცით პასუხი. შესაბამისად, მათ გაიზიარეს ჩვენი ხედვა, რაც აისახა კიდევ ანგარიშში. ანალოგიური მიდგომა იყო ალბათ არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც. ჩემს ანგარიშზე, რაც დაგაინტერესებთ, ყველაფერს გეტყვით, მაგრამ სხვის ანგარიშზე გამიჭირდება საუბარი.

გოგი გვახარია – ჩემი აზრით, კითხვა ეხებოდა იმას, რამდენად იზიარებთ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს.

გიორგი ტულუში – ეს ანგარიში რომ არ გავიზიარო, გამოდის, რომ არც საკუთარი ანგარიში არ უნდა გავიზიარო, იმიტომ რომ ყოველ მესამე გვერდზე სახალხო დამცველის აპარატია მოხსენიებული.

ბექა გაბადაძე, თსუ სტუდენტი – ჩვენი უნივერსიტეტის თემაზე მინდა მოვმართოთ. ამავე საკითხთან დაკავშირებით უკვე ვიყავით სახალხო დამცველის ინსტიტუტში. აქ დევს ახსნა-განმარტებითი ბარათები 15 აპრილის ინციდენტთან დაკავშირებით, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობა გაგვისწორდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მათ დაარღვიეს ჩვენი უფლებები. მინდა გთხოვოთ, რომ თქვენს სახელზე შემოსული ჩვენი განცხადებები, რომლებიც შეეხება მუქარას და ცემის ფაქტებს, პრიორიტეტულად იქნეს განხილული. 15 აპრილის აქციის მონაწილეები ერთადერთი არ ვართ, ვის მიმართაც ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი. ამიტომ კარგი იქნება თუ არა მხოლოდ 15 აპრილის ფაქტთან, არამედ ზოგადად, სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ დაიწყება მოკვლევა-გმადლობთ.

გიორგი ტულუში – ვიცი, რომ თქვენ იმყოფებით ჩვენს ოფისში. აქ იმყოფება ქალბატონი სოფო, რომლის დეპარტამენტიც სწავლობს ამ საკითხს. რაც შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, არ ვიცი, ეს საკითხი რამდენად შედის ჩვენს კომპეტენციაში, იმიტომ რომ ის დამოუკიდებელი სტრუქტურაა და სახელმწიფო ორგანოს არ წარმოადგენს. თქვენზე ზეწოლის და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტის შესწავლით კი დაინტერესებულნი ვართ და ამ საკითხზე აუცილებლად მოვანდენთ რეაგირებას.

თამარ ჩუგოშვილი – მე მინდა გთხოვოთ, რომ ჩვენთან, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც მობრძანდეთ და ჩვენი იმედიც გქონდეთ ამ საქმეში.

ქეთი აბაშიძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია – ანგარიშის მომზადების მიზანი ალბათ არის, მიიღოთ შედეგი მისგან. მართალია, თქვენ კანონით ანგარიშვალდებული ხართ პარლამენტის წინაშე, მაგრამ მაინტერესებს ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ თუ ცდილობთ შეხვედრას სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლებთან ან პირველ პირებთან ანგარიშის მათთვის უშუალოდ გაცნობის მიზნით.

შეკითხვა მაქვს ქალბატონ ნინოსთანაც. თქვენ ახსენეთ მედიის დამოუკიდებლობის საკითხი, რომელიც დღეს მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში. როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ქართული სამოქალაქო საზოგადოება ამ კუთხით სათანადოდ მუშაობს?

გიორგი ტულუში – ჩემი გამოსვლის შესავალშიც აღვნიშნე, რომ არ ვაპირებ ველოდო, როდის გაახსენდება პარლამენტს ჩემი რეკომენდაციები. ინდივიდუალურ რეჟიმში არა ერთ უწყებასთან ვმუშაობ, თუმცა ეს არ არის თანამშრომლობა, მას უფრო ეთქმის კომუნიკაციის რეჟიმი. გვაქვს შემთხვევები, როდესაც მინისტრები პირადად ითხოვენ სახალხო დამცველთან შეხვედრას. წინა ანგარიშზე იყო გამოთქმული ასეთი სურვილი სასჯელსრულების სამინისტროს მხრიდან. ახლა ჯერჯერობით მსგავსი სურვილი არ გამოთქმულა. ჯანდაცვის მინისტრთანაც გვაქვს ურთიერთობა, იმიტომ რომ ძალიან ბევრი საკითხი იკვეთება ამ სამინისტროსთან. მინდა აღვნიშნო, რომ როდესაც მონიტორინგის ჩაშლა სცადეს ბავშვთა სახლებში, სწორედ მასთან ჩემი კომუნიკაციით მოხერხდა ამ საკითხის დარეგულირება. არის უწყებები, რომლებთანაც გვაკავშირებს ურთიერთობა გარკვეულ ფორმატში, თუნდაც სისხლის სამართლის რეფორმის საბჭოს წევრობის გამო. ინდივიდუალურ რეჟიმში მუშაობა

მიმდინარეობს ყველა დონეზე. ზოგჯერ, ვიდრე საქმე რეკომენდაციამდე მივიდოდეს, ჩვენ წინასწარ ვატყობინებთ უწყებას ფაქტების შესახებ, რომ დროულად აღმოვზვრან ისინი. მაგრამ თუ რომელიმე უწყებას არ სურს ამგვარი ურთიერთობა, მას ვერ დავაძალებთ, პირიქით, პირველი სიგნალი სწორედ მათგან მოდის ხოლმე.

ნინო დანელია – მოკლედ გიპასუხებთ. არა მგონია, რომ სამოქალაქო საზოგადოება საკმარისს აკეთებდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემა ორი ტიპის არის: ერთია დამოუკიდებლობა და მეორე, პროფესიონალიზმის დონე. ერთ ძალიან კონკრეტულ შემთხვევას გაგაცნობთ. მოგეხსენებათ, საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველაზე მეტად შეიძლება განვიხილოთ ისეთ ტელევიზიად, სადაც ჩვენ, საზოგადოებას მეტი გავლენა შეიძლება გვქონდეს, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებლის სხდომებზე ძალიან ხშირად მე და ჩემი კოლეგები მარტოები ვართ ამ დიდი მანქანის პირისპირ. მაგალითად, როდესაც პროგრამული პრიორიტეტები გამოქვეყნდა, ვერც ერთი კომენტარი ვერ მივიღეთ. სხდომები ღიაა, მაგრამ ერთადერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც ჟურნალისტები დაინტერესდნენ სხდომაზე დასწრებით. ინტერესი ძალიან დაბალია.

რაც შეეხება დასუფთავების სამსახურთან დაკავშირებულ ისტორიას, მინდა გითხრათ, რომ ეს არის ის შემთხვევა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს. ყველაზე მცირე, ეს შეგვიძლია გავზადოთ მედიის თემა. პირადად მე შევეცდები ამ საკითხის დაყენებას საზოგადოებრივი მაუწყებლის წინაშე. ასევე ვთხოვ პარტნიორ მედია-ორგანიზაციებს, რომ ერთდროულად ვისაუბროთ ამ თემაზე.

ლიკა ზაკაშვილი, ჟურნალისტი – ბატონო გიორგი, თქვენთან მაქვს შეკითხვა ე.წ. კერძო სექტორთან დაკავშირებით. ძალიან ბუნდოვანია, როგორ აპირებს სახელმწიფო ამ ადამიანების ბინით უზრუნველყოფას. სად განასახლებენ თბილისში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს, თუ უშუალოდ თბილისში ან რუსთავში არ აშენდა მათთვის ბინები?

გიორგი ტულუში – ამ სამინისტროს ჩვენ არა ერთი კითხვით და წერილით მივმართეთ, მაგრამ დღემდე ყველა წერილი უპასუხოდ არის დატოვებული. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, თქვენ იცით, რომ არის ძალიან დიდი ჩამორჩენა. კერძო სექტორის ღვენილების ბინებით უზრუნველყოფა უნდა დაწყებულიყო მეორე ეტაპზე, შემდეგ ჩანაწერიც შეიცვალა. მათი კომპენსაციით დაკმაყოფილებას დაემატა, რომ ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რესურსები ამას შესაძლებელს გახდიდა. სურათი ამ კუთხით საკმაოდ რთულია. ძალიან მიჭირს იმის თქმა, რა ბედი ეწევათ კერძო სექტორში მცხოვრებ ღვენილებს. მათი ნაწილი ქირით ცხოვრობს, ნაწილი – ნათესავთან, ნაწილს კი აქვს ბინა. ამ ადამიანების საცხოვრებელი პირობებით დაკმაყოფილება ძალიან შორეული პერსპექტივაა. ამ თემაზე საუბარი ამ ეტაპზე არარეალურია. იმიტომ რომ ჯერ კიდევ კოლექტიური ცენტრების დიდ ნაწილშია გაუსაძლისი პირობები და საჭიროებს რეაბილიტაციას. გარდა ამისა, ჯერ კომპაქტურ ჩასახლებებში მყოფთა პირველი ფაზა არ არის დაკმაყოფილებული. მიმდინარეობს მშენებლობა, მაგრამ ნაწილი ალტერნატივებისა ათვისებული არ ყოფილა. თბილისში მცხოვრები პირების მცირე ნაწილი წავიდა სამეგრელოში, კიდევ უფრო მცირე დათანხმდა აღმოსავლეთ საქართველოში გამოყოფილ საცხოვრებელს. კონკრეტულ პასუხს ვერ გავცემთ ამ საკითხებზე. მჯერა, რომ მათზე არც სამინისტროს აქვს კონკრეტული პასუხი.

– ბატონო გიორგი, დიდი მადლობა მინდა გითხრათ თქვენი ანგარიშისთვის, ასევე მადლობას ვუხდით მომხსენებლებს მოხსენებებისთვის და ორგანიზატორებს ამ თემაზე დისკუსიისთვის. ჩემი შეკითხვა შეეხება იმ სოციალურ ჯგუფს, რომელსაც სახელი ბოლომდე არა აქვს დარქმეული. მათ ხან ინვალიდებს, ან უნარშეზღუდულებს, ხან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ვუწოდებთ, შეიძლება აღურიცხავი პატიმრებიც ვუწოდოთ.

სულ ერთი კვირის წინ გამოვიდა ინფრასტრუქტურის მინისტრი და აღნიშნა, რომ საქართველოში ველოგზების შენება იწყება და ამ საქმისთვის 10 მილიონი ლარია გამოყოფილი.

იმ ადამიანებს კი, რომელზეც დასაწყისში მოგახსენებდით, დაკარგული აქვთ ყველანაირი უფლება, იმიტომ რომ გადაადგილების უფლება აქვთ შეზღუდული. კონვენციას როდის შეიძლება ხელი მოეწეროს, რა პროგნოზი გაქვთ ამის შესახებ?

გიორგი ტულუში – კონვენციას რამდენიმე წლის წინ მოეწერა ხელი ნიუ-იორკში. თუმცა ის პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ არის. ამ საკითხზე ხანგრძლივი მიმოწერა გვქონდა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, მაგრამ პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. თუმცა, მოდით, ილუზიებით ნუ ვიცხოვრებთ. კონვენციის რატიფიცირება რა თქმა უნდა, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, ამ ადამიანთა უფლებების დასაცავად დამატებით მექანიზმსაც გააჩენს და უკვე საერთაშორისო დონეზე მონიტორინგის საგანი გახდება ქვეყანა, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ მანდ არის ბევრი სხვა პრობლემა. აქ საუბარია არაადაპტირებულ გარემოზე. ამაზე ყველა ჩემს ანგარიშში მაქვს საუბარი. სპეცანგარიში დაეთმო შესაძლებლობა შეზღუდული პირების ინსტიტუციებს, სადაც ისინი იმყოფებიან. რეალურად არც ერთი ქალაქი არ პასუხობს მინიმალურ სტანდარტებს. ვგულისხმობ დიდ ქალაქებს, სადაც არა მარტო გზები, ტროტუარები და შენობებია მოუწყობელი, ასევე ტრანსპორტი, რომლის შექმნაც ხდება, ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. ეს არის ერთ-ერთი სფერო, სადაც პროგრესს ნაკლებად ვხედავ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრ ახალ სახელმწიფო შენობაშიც არ არის ადაპტირება გათვალისწინებული, ეს კიდევ უფრო ამძიმებს სიტუაციას. მე მაგალითად ახლა ჩემი ბიუჯეტიდან ვხარჯავ 20 ათას ლარს იმისთვის, რომ შენობა ადაპტირებული გავხადო. ძველი შენობა ადაპტირებული გვქონდა, ახალსაც სჭირდება, თუმცა ნებართვებმა დიდი დრო წაიღო.

კონვენციის რატიფიცირება ერთადერთი პრობლემა არ არის. მიდგომაა შესაცვლელი. ერთხელ ესპანეთში ვკითხე ჩემს კოლეგას ამ თემაზე. იქ ძალიან აქტიურად მუშაობენ ამ საკითხზე. მან მიპასუხა, რომ როდესაც იქაური რკინიგზის მმართველ კომპანიას მოსთხოვა ყველა სადგურის ადაპტირება, მისწერეს, რომ ამ საქმეს ხუთი წელი დასჭირდება. ჩვენთან ამგვარი პასუხიც არ მიმიღია. ზრუნავენ, მაგრამ სამწუხაროდ, შედეგი არ ჩანს. არ ვაპირებ ამ საკითხზე გაჩუმებას. სწორედ ახლახანს გაეროს კომისარიატს ჰქონდა ორგანიზებული შეხვედრა ამ თემასთან დაკავშირებით. უნდა განვაგრძო ამ მიმართულებით მუშაობა. ვიმედოვნებ, რომ ცოტა მეტი ყურადღება დაეთმობა ამ თემას.

– ჩემი შეკითხვა აივ-ინფიცირებულების თემას ეხება. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში აშკარად ირღვევა შიდსით დაავადებულთა უფლებები. ეს ერთადერთი ქვეყანაა პოსტ-საბჭოთა სივრცეში, რომელმაც 100%-ით მიიღო მკურნალობა, მაგრამ როდესაც აივ-ინფიცირებულებზე ვსაუბრობთ, აქ იგულისხმება მაღალი რისკის ჯგუფები. საქართველოში ბოლო კვლევებით

გამოვლინდა, რომ მამაკაცებში, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან, კონცენტრირებულია ეპიდემია. ძალიან მაღალია მაჩვენებელი. მათი რიცხოვნობაც საკმაოდ მაღალია, ვიდრე ამას ითვალისწინებენ სერვისების მიმწოდებლები. ასევე მაღალი რისკის ჯგუფებში შედიან ნარკომომხმარებლები, რომელთა მიმართ კანონები დრაკონულად დამსჯელია და ეს ხელს უშლის სერვისების მიწოდებას.

მინდა მოგილოცოთ და გკითხოთ, მთელი ამ პროგრესის ფონზე რამდენად მზად იქნება სახალხო დამცველი მომავალ ანგარიშებში ეს პრობლემა კარგად ასახოს. დიდი მადლობა.

გიორგი ტულუში – ანგარიშში არის თავი, რომელიც ეძღვნება ჯანდაცვის უფლებას და მასში ერთ-ერთი ქვეთავი სწორედ აივ-ინფექციით ინფიცირებულებს ეძღვნება. თქვენ მართებულად აღნიშნეთ, რომ სახელმწიფოს მიერ ფინანსდება მკურნალობა, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც გარკვეული შეფერხებების გამო თვეზე მეტი ხნით შეუწყდათ ამ ადამიანებს მკურნალობა და ეს იყო ანგარიშის ერთ-ერთი თემა. ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმ ადამიანებს, რომლებიც სასჯელალსრულების დაწესებულებებში იმყოფებიან და მინდა გითხრათ, რომ არცთუ ისე მცირე რაოდენობაა ამ ვირუსით დაინფიცირების ამ დაწესებულებებში. რაც შეეხება მათთვის სასჯელის გადავადებას თუ მათ არასათანადო პირობებში ყოფნას ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ამას დიდი ყურადღება ექცევა.

რაც შეეხება ზოგადად ვირუსის გავრცელებას, ამას რა თქმა უნდა, შესაბამისმა უწყებებმა უნდა მიხედონ. ეს უშუალოდ ეხება ჯანდაცვის სამინისტროს, მაგრამ ვიცი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ძალიან ბევრს აკეთებენ ამ მიმართულებით. მთელი რიგი სერვისების მიმართ ხელმისაწვდომობას, რაც შეიძლება ამ ადამიანებს დასჭირდეთ, და პრევენციული ზომების გატარებას, შემდგომში კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული პრობლემა ამ ანგარიშშიც დგას.

– თქვენი ანგარიშის ქალთა უფლებების ქვეთავში მხოლოდ პატიმარ ქალთა და ოჯახური ძალადობის პრობლემა იყო განხილული. სახალხო დამცველი არ მუშაობს ქალთა სხვა ტიპის ჩაგვრის შემთხვევებზე? თუ არ იყო ეს საკითხი ისეთი პრიორიტეტული. თქვენს საიტზეც, როდესაც ქალისა და ბავშვის უფლებების ცენტრის გვერდზე შევედი, მხოლოდ ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია დამხვდა.

გიორგი ტულუში – წარსულში ქალის უფლებების თავი საერთოდ არ ყოფილა სახალხო დამცველის ანგარიშში. პირველი წელია 2010, როდესაც ავსახეთ ის პრობლემები, რომლებთანაც გვეკონდა შეხება. ესენია ოჯახური ძალადობა, რომელიც ძალიან აქტუალური თემაა, კონკრეტული საქმეები მქონდა წლის განმავლობაში, როდესაც ქალბატონები მოგემართავდნენ თავიანთი პრობლემების გამო. ანგარიშში იყო გაშვილების და შვილად აყვანის თემა. ზოგადად, რაც შეეხება გენდერულ თანასწორობას და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს, ამისთვის ცალკე საბჭო არსებობს, რომელმაც უნდა განახორციელოს მონიტორინგი. მე ყველაფერის მონიტორინგს ქვეყანაში ვერ განვახორციელებ. ჩემი 62 თანამშრომელი 18 ციხეს და 30 ბავშვთა სახლს ამოწმებს. გენდერი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თემაა, მაგრამ გეგმის მონიტორინგს ნუ მომთხოვთ.

გოგი გვახარია – დავამთავროთ ქალების თემით. დიდი მადლობა.